# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №396

2020 წლის 1 ივლისი

ქ. თბილისი

## სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საკომპენსაციო თანხის გადახდისა და მისი გადახდისგან გათავისუფლების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**

„მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საკომპენსაციო თანხები საქართველოს მუნიციპალიტეტებისა და განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიების მიხედვით, აგრეთვე ამ საკომპენსაციო თანხის გადახდისა და მისი გადახდისგან გათავისუფლების წესი და პირობები (დანართი №1).

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების წესი და პირობები (დანართი №2).

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივლისიდან.

პრემიერ - მინისტრი | გიორგი გახარია

დანართი №1

## სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საკომპენსაციო თანხები საქართველოს მუნიციპალიტეტებისა და განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიების მიხედვით, აგრეთვე ამ საკომპენსაციო თანხის გადახდისა და მისი გადახდისგან გათავისუფლების წესი და პირობები

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს დანართი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დროს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკომპენსაციო თანხების ოდენობას საქართველოს მუნიციპალიტეტებისა და განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიების მიხედვით, აგრეთვე ამ საკომპენსაციო თანხების (შემდგომში – საკომპენსაციო თანხა) გადახდისა და მისი გადახდისგან გათავისუფლების წესსა და პირობებს.

**მუხლი 2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საკომპენსაციო თანხის გაანგარიშება**

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დანიშნულების ცვლილების საკომპენსაციო თანხა გადაიხდება, თუ მიწის ნაკვეთი მდებარეობს:

ა) განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიის საზღვრებში;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საკომპენსაციო თანხა გადაიხდება მიწის ნაკვეთის ფართობის პროპორციულად და შეადგენს:

ა) განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიის საზღვრებში მოქცეული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში – 100 000 ლარს ერთ ჰექტარზე;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში – 34 001 ლარს ერთ ჰექტარზე.

**მუხლი 3. საკომპენსაციო თანხის გადახდისგან გათავისუფლება**

საკომპენსაციო თანხის გადახდისგან გათავისუფლებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება.

**მუხლი 4. საკომპენსაციო თანხის გადახდის წესი**

საკომპენსაციო თანხის გადახდა წარმოებს მიწის ნაკვეთზე მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

დანართი №2

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების წესი და პირობები

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს დანართი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების წესსა და პირობებს, კატეგორიის ცვლილების მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირებს.

**მუხლი 2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიები და მათი ცვლილება**

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიებია:

ა) საძოვარი;

ბ) სათიბი;

გ) სახნავი (მათ შორის, მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული);

დ) საკარმიდამო.

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილება დასაშვებია შემდეგი წესით:

ა) საძოვრის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისათვის სათიბის, სახნავის (მათ შორის, მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული) ან საკარმიდამოს კატეგორიის მინიჭებით;

ბ) სათიბის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისათვის სახნავის (მათ შორის, მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული) ან საკარმიდამოს კატეგორიის მინიჭებით;

გ) სახნავის (მათ შორის, მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული) კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისათვის საკარმიდამოს კატეგორიის მინიჭებით.

**მუხლი 3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილებაზე უფლებამოსილი ორგანო**

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) მისთვის წარდგენილი დოკუმენტაციისა და მასთან დაცული ინფორმაციის (მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული ცვლილება საჯარო რეესტრში რეგისტრირდება.

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შესაბამისი კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად რეგისტრირდება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად.

3. თუ სააგენტოში დაცული ინფორმაციით ან/და მიწის ნაკვეთზე გაცემული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით არ დგინდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორია, რეგისტრაცია წარმოებს დაინტერესებული პირის მიერ მითითებული კატეგორიის შესაბამისად.

4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილება რეგისტრირდება მესაკუთრის მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე.